ხელშეკრულება №126

(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ)

21 აგვისტო 2013 წელი

ჭიათურა

**1. ხელშეკრულების დამდები მხარეები**

1.1. ერთის მხრივ თვითმმართველი ერთეული ჭიათურის მუნიციპალიტეტი, მისამართი: ჭიათურა ნინოშვილის ქ.№7 ააიპ „ჭიათურის მუნიციპალიტეტის №27 კომპლექსური სასპორტო სკოლის" დირექტორი ჯამბული ვაშაძის სახელით, შემდგომში „დამკვეთი",მეორეს მხრივ

„ი.მ. [illegible]

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1.ააიპ „ჭიათურის მუნიციპალიტეტის №27 კომპლექსური სასპორტო სკოლის" ძალოსნობის გუნდის ბინით მომსახურეობა.

2.2. კლასიფიკატორის კატეგორიის კოდები მოცემულია დანართში,რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

**3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები**

3.1. „დამკვეთი" იღებს ვალდებულებას:

დროულად გადაუხადოს თანხები „მომწოდებლის" ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3.2. „მიმწოდებელი' იღებს ვალდებულებას:

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში დროულად მოემსახუროს ააიპ „ჭიათურის მუნიციპალიტეტის №27 კომპლექსურ სასპორტო სკოლის" ძალოსნობის გუნდს ბინით.

3.3 „დამკვეთის" მოთხოვნის შემთხვევაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარუდგინოს მას ინფორმაცია.

3.4. საკუთარი ხარჯებით აანაზღაუროს გამოვლენილი უხარისხო პროდუქტის ღირებულება.

**4. ანგარიშსწორება**

4.1. მხარეთა შორის მოხდება ნაღდი ანგარიშსწორება

4.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 72,00 (სამოცდათორმეტი) ლარს.

4.3 ანგარიშ ფაქტურას და სხვა აუცილებელ დოკუმენტებს, რაც სავალდებულოა ორივე მხარისათვის და საბოლოო ანგარისსწორებისას.

4.4. მხარეთა შორის შესაძლებელია ანგარისსწორება განხორციელდეს ეტაპობრივად.

4.5. მხარეთა შეთანხმების საფუძველზე დასაშვებია წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმის გამოყენება, რაზედაც მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარმოუდგინოს წინსწარ გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტია.

**5. ფორს-მაჟორი**

5.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჯორული გარემოებების შედეგად.

5.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებადაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება მეორე მხარეს ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს,იგი თავისი შეხედულებებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები,რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

**6. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა**

6.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებული მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა. ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია ერთი კვირით ადრე. ამავე დროს „დამკვეთი" არ არის ვალდებული წარუდგინოს „მიმწოდებელს" რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით,რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

6.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით,რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**7. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

7.1 „დამკვეთმა" და „მომწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ,რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა,წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

7.2. თუკი ასეთი მოლაპარაკების გზით „დამკვეთი" და „მომწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას,ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით დადგენილი წესის მიხედვით მიმართონ სასამართლოს.

**8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელი გარემოებებს რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება. ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გადაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის,მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინებების მიმღებმა მხარემ 5 დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

**9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა.**

9.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა,მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

ა) ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მომწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1% ოდენობით.

ბ) შემსრულებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების თვიტნებურად შეწყვეტის შემთხვევაში ჯარიმდება 1200 (ათას ორასი) ლარის ოდენობით.

გ) საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს შემსრულებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**10. ინსპექტირების პირობები**

10.1 „დამკვეთს" უფლება აქვს, აწარმოოს გაწეული მომსახურეობის კონტროლი მოწოდების ნებისმიერ დროს.

10.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახარციელებს ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

**11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

11.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2013 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

**12. დამატებითი პირობები**

12.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (2 გვერდზე) და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

12.2 ხელშეკრულების თითოეული ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

13. მხარეთა რეკვიზიტები:

**„დამკვეთი"**

ააიპ „ჭიათურის მუნიციპალიტეტის
გამგეობის №27 სპორტული სკოლა"
მის. ქ. ჭიათურა ჭავჭავაძის №34
სს „პრივატბანკი"
ბანკის კოდი 220101702
ს/კოდი 215611602
ა/ნ GE39TP0034080020001039
ჯ. ვაშაძე

**„მომწოდებელი"**

შ.პ.ს. „ოლიმპიური სახლი"
[illegible] №48
ს.კ. 229326823

"ოლიმპიური სახლი" * "OLYMPIC HOUSE" LTD * 229326823

დანართი №1

| | კლასიფიკატორის კოდი | დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | 55100000 | სასტუმროს მომსახურება | | |

დირექტორი: ჯ. ვაშაძე